

საარჩევნო "ტრადიციები" ირღვევა A2



ქორწილი საიდუმლოდ A8



სასიყვარულო ბარათები აუქციონზე A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2005 წელი. №170 (1030)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### რუსეთი მცირემასშტაბიან ტერაქტებს არ აწყობს - ამბობს მინძაევი

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ მინძაევის განცხადებით, ბესლანის ტერაქტი თბილისიდან იყო ორგანიზებული.

A2

## ამბები

### შესაწყალებელ პატიმართა მორიგი სია მზად არის

პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია პრეზიდენტს 54 პატიმრის შეწყალების რეკომენდაციით მიმართავს. პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია დღეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შესაწყალებელ პატიმართა სიას გადასცემს.

A3

## ამბები

### ლევან კენჭაძის საქმის განხილვა სექტემბრისთვის გადაიდო

სასამართლო პროცესს თავად განსასჯელი არ დასწრებია. როგორც ადვოკატმა განმარტა, საკასაციო საქმეზე განსასჯელის დასწრება ნებაყოფლობითია და კენჭაძე სხდომაზე პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდა.

A3

## რევიუ

### გიბსონი ისევ ისტორიაში გადაიჭრა

"ქრისტეს ვნებანის" შემდეგ მელ გიბსონი ახალ ისტორიულ-ეპიკურ პროექტს შეეჭიდა, რომლისთვისაც დიალოგები ისევ ანტიკურ ენაზე დაიწერა. ფილმის სამუშაო სათაურია Apocalypto. მოქმედება 500 წლის წინანდელ ცენტრალურ ამერიკაში ხდება, პერსონაჟები მაიას ერთ-ერთ დიალექტზე საუბრობენ.

A8

## ამინდი

| | 28/07 | 29/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 37 | 37 |
| ტყიბული | 35 | 35 |
| სოხუმი | 35 | 35 |
| დმანისი | 29 | 28 |
| გორი | 32 | 32 |
| ონი | 28 | 28 |
| ზუგდიდი | 37 | 38 |
| ახმეტა | 36 | 36 |
| გაგრა | 33 | 33 |
| სამტრედია | 37 | 37 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8079 |
| ევრო | 2.1675 |
| ბირთანქა სტერლ. | 3.1370 |
| რუბლი | 0.0629 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| ამბები | A 4 |
| ვაკანსია | A 5 |
| ვაკანსია | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# რიჩარდ მაილსი: საქართველოში რწმენის ნიშნები გაჩნდა

**იდეალური დემოკრატიული წყობის ქვეყანა კი მსოფლიოში არ არსებობს**

მაია ჭალაგანიძე

*საქართველო პირველად 1975-1976 წლებში მოეწონა. "ცივი, ნაცრისფერი მოსკოვიდან მზიან საქართველოში ჩამოსვლა იგივე იყო, რაც სულ სხვა სამყაროში მოხვედრა," - გვითხრა რამდენიმე წლის წინ ახლად დანიშნულმა ელჩმა რიჩარდ მაილსმა ჩვენთან პირველ ინტერვიუში. მაშინ, პირველი სტუმრობისას, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს არა საბჭოთა, არამედ დამოუკიდებელ საქართველოში ჩამოვიდოდა და გადამწყვეტ ისტორიულ მომენტში დიდ დემოკრატიულ მისიასაც შეასრულებდა. შერონ მაილსს კი საქართველოში მეტი დრო აქვს გატარებული, რადგან ის აშშ-ს საინფორმაციო სააგენტოში მუშაობდა. თუმცა, ელჩის მეუღლის სტატუსით ის უფრო დაუახლოვდა ჩვენს ქვეყანას და ხალხს. აქ ყოფნის განმავლობაში მას განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, ქართველ ქალთა ბედი აღელვებდა. იმდენად, რომ ქართულ სოფლებში მცხოვრებ ქალებზე საუბრისას მომღიმარმა და ოპტიმისტმა ქალბატონმა ცრემლი ვერ და არ დაფარა.*

გაგრძელება A4 გვერდზე



# FBI-ს წარმომადგენლებმა არუთინიანის სარდაფის დათვალიერება დაასრულეს

*აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და საქართველოს კრიმინალისტიკური სამსახურის ექსპერტებმა ვლადიმერ არუთინიანის სახლის სარდაფის დათვალიერება, რომელიც ოთხი დღე გრძელდებოდა, გუშინ დაასრულეს. არუთინიანის სახლი შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმაც დაათვალიერეს.*

ვანო მერაბიშვილის განცხადებით, FBI-ს წარმომადგენლებმა და საქართველოს კრიმინალისტიკური სამსახურის წევრებმა ოთხი დღის განმავლობაში აქტიურად იმუშავეს. მისივე თქმით, ამ პერიოდში ქართველმა კრიმინალისტებმა ამერიკელი კოლეგებისგან ძალიან დიდი გამოცდილება მიიღეს.

გაგრძელება A3 გვერდზე



FBI-ს აგენტები არუთინიანის სარდაფში სპეციალური ნიღბებით მუშაობდნენ.

# დეპუტატები ეთიკას ბრიტანელი პარლამენტარებისგან ისწავლიან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ საქართველოსა და ბრიტანეთის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის ჯგუფის ხელმძღვანელი ბრიუს ჯორჯი მიიღო.

**"შეხვედრა საქართველოსადმი ჩვენს მხარდაჭერას მიეძღვნა. ვისაუბრეთ იმაზეც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები დიდად არიან დაინტერესებულნი საქართველოში დემოკრატიის განვითარებით. ჩვენი საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოს პარლამენტსა და ბიზნესმენებს შორის ურთიერთობებს, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქვეყანაში შექმნილ ვითარებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს,"** - განაცხადა ბრიუს ჯორჯმა.

გაგრძელება A3 გვერდზე



ბრიუს ჯორჯის და ნინო ბურჯანაძის საუბარი.

# საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დაეცა

*საქართველოში "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" გაუარესდა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის Heritage Foundation-ის მიერ ჩატარებული ყოველწლიური კვლევა - "ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" იძლევა. კვლევის თანახმად, შარშანდელი 91-ე ადგილიდან, წელს საქართველომ მე-100 ადგილზე გადაინაცვლა.*

მარიამ ჭაჭვაძე

"ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით" საქართველოს ეკონომიკა მიკუთვნებულია "ძირითადად არათავისუფალ" (Mostly Unfree) კატეგორიას. ამ კვლევაში მოცემული ცხრილის მიხედვით, საქართველოზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ სომხეთს, მადაგასკარს, მონღოლეთს, უგანდას, ნამიბიას, ბოსნიას, ყირგიზეთს და ა.შ.

Heritage Foundation-ის მოხსენების სპეციალურად საქართველოსთვის მიძღვნილ ნაწილში ხაზგასმით ნათქვამია, რომ განსაკუთრებით გაუარესებულია ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი და მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არალეგალური ვაჭრობა. კვლევის ავტორები იმასაც წერენ, რომ საქართველოში უცხოური ინვესტიციებისთვის დაწესებულია მაღალი ბარიერები. **"მართალია, საქართველოში ინვესტიციებზე დაწესებულია მცირე ოფიციალური შეზღუდვები და კანონის მიხედვით უცხოელები ადგილობრივი ინვესტორების თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, მაგრამ არსებობს ბევრი არალეგალური შეზღუდვა".**

Heritage Foundation-ის მოხსენება სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ მოკვლეულ ინფორმაციას ეყრდნობა, მათ შორის - სავალუტო ფონდის სპეციალურ ანგარიშს. ფონდის ინფორმაციაზე დაყრდნობით ამერიკული ავტორიტეტული ინსტიტუტი აცხადებს, რომ უცხოელი ინვესტორები საქართველოში ბიზნესგარემოს, ძირითადად, აღიქვამენ, როგორც ბიუროკრატიულს, არაგამჭვირვალეს და კორუფციისკენ მიდრეკილს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# IFC TBC-ში ინვესტირებას ახდენს

*საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ - IFC, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფში შემავალ კერძო სექტორზე ორიენტირებულ ორგანიზაციას წარმოადგენს, საქართველოს წამყვანი ბანკის, TBC ბანკის შვილობილ კომპანიაში, TBC ლიზინგში სესხის სახით 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტირება მოახდინა.*

სესხის გაცემის თაობაზე შეთანხმებას, IFC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალურმა დირექტორმა ედვარდ ნასიმმა და TBC ლიზინგის ხელმძღვანელმა თეა ლორთქიფანიძემ, ხელი გუშინ ბანკის ცენტრალურ ოფისში მოაწერეს.

როგორც თეა ლორთქიფანიძემ განაცხადა, IFC-ს სესხი TBC ლიზინგს მისცემს სწრაფი განვითარების და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მხრიდან ლიზინგზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალებას.

მისივე ინფორმაციით ეს სესხი წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ საქართველოს ლიზინგის სექტორში განხორციელებულ პირველ ინვესტიციას. **"TBC ლიზინგი განსაკუთრებით კმაყოფილია IFC-სთან პარტნიორობით. ჩვენ მადლობას მოვახსენებთ IFC-ს ჩვენდამი გამოცხადებული ნდობისათვის და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება",** - განაცხადა თეა ლორთქიფანიძემ.

**"ეს ინვესტიცია წარმოადგენს IFC-ს მიერ რეგიონში საფინანსო სექტორის გასაძლიერებლად მიმდინარე პროგრამის ნაწილს, რამდენადაც სიცოცხლისუნარიანი ინსტიტუტები წარმოადგენენ მდგრადი ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ ფაქტორს. იგი ასევე დაეხმარება ქართულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს დაფინანსების მოზიდვაში, მათ შორის ისეთ კომპანიებს, რომელთაც შესაძლოა, არ გააჩნდეთ საკმარისი საკრედიტო ისტორია ან გირაო საბანკო სესხის მისაღებად",** - ეს განცხადება კი ხელმოწერის შემდეგ IFC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალურმა დირექტორმა ედვარდ ნასიმმა გააკეთა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# თბილისი მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენციას მასპინძლობს

*"სახალხო ბანკის" ინიციატივით, თბილისი მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენციას მასპინძლობს. ოთხი დღის განმავლობაში, "შერატონ მეტეხი პალასში" აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საბერძნეთის, არაბეთის გაერთიანებული საემიროების, ბალტიისა და დსთ-ის ქვეყნების ბანკებისა და სხვა ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის VISA International-ის, NCR-ის, Wincor Nixdort-ის, Travellers Cheques-ის, Rosan-ის და ACI Worldwide-ის წარმომადგენლები საქართველოსთან ერთად რეგიონში საცალო საბანკო ბიზნესის განვითარებაზე და ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ტექნოლოგიების აწმყოსა და მომავალზე იმსჯელებენ. ქართული მხარე აცხადებს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში ნაღდი ანგარიშსწორების წილის შემცირებაა. გუშინ, კონფერენციაზე "სახალხო ბანკი" სოციალური პლასტიკური ბარათების ემისიის ინიციატივითაც გამოვიდა.*

დიანა ჩაჩუა

"ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ტექნოლოგიების აწმყო და მომავალი" - ასეთია თბილისში მიმდინარე მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენციის მთავარი თემა. გუშინ, კონფერენციის პირველ დღეს, აქცენტი უნაღდო ანგარიშსწორების ტექნოლოგიებზე გაკეთდა.

რა სიტუაციაა დღეს საქართველოში ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების მხრივ? მაშინ, როცა ევროპაში კარგა ხანია, ნაღდი ანგარიშსწორების წილის შემცირების ტენდენცია დამკვიდრდა, საქართველოში ნაღდი ანგარიშსწორების სისტემა კვლავაც ძალიან პოპულარულია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ნაღდი ანგარიშსწორების წილი 8-10 პროცენტია, უნაღდოსი კი - 90 პროცენტი. საქართველოში სიტუაცია საპირისპიროდაა. საბანკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის გოგიტა ცუცქირიძის აზრით,

გაგრძელება A2 გვერდზე

# რუსეთი მცირემასშტაბიან ტერაქტებს არ აწყობს

## ამბობს მინძაევი

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ მინძაევის განცხადებით, ბესლანის ტერაქტი თბილისიდან იყო ორგანიზებული.

"ჩვენ ვიცით, ვინ, ვის და სად შეხვდა საქართველოში ბესლანის ტრაგედიამდე. იქნებ ღირდეს საქართველოს ხელისუფლებამ ამაზე იფიქროს", - განაცხადა მინძაევმა რუსული საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელშიც მან კომენტარი გაუკეთა ქართული მხარის მიერ წამოყენებულ ბრალდებას გორის ტერაქტთან რუსეთის სპეცსამსახურების და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების კავშირის შესახებ.

მინძაევის თქმით, ქართული მხარის ასეთი განცხადებები "აბსურდულია". "რუსეთს რომ ნამდვილად მოენდომებინა ტერაქტის ორგანიზება, საქმე ისეთი "მცირე მოქმედებებით" არ შემოიფარგლებოდა, როგორც პროვინციულ პატარა ქართულ ქალაქში აფეთქების განხორციელებაა", - განაცხადა მინძაევმა.

მისი აზრით, ტერაქტთან კავშირში ეჭვმიტანილთა დაპატიმრების ოპერაცია საერთოდ არ ჩატარებულა. "თავდაპირველად გვითხრეს, რომ ეს ადამიანები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისთვის დააკავეს, შემდეგ კი ნარკოტიკების შენახვისთვის, ანუ, სახეზეა კონკრეტული ფაქტების არარსებობა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ნარკოტიკები შეეძლოთ ჩაედოთ, შემდეგ კი ამისთვის სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ დაკავებულების მიმართ ფიზიკურ ზეწოლას მიმართავენ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დაკავებულები, განსაკუთრებით კი ზასეევი სასტიკად სცემეს", - განაცხადა მინძაევმა.

მიუხედავად ამისა, დე-ფაქტო ხელისუფლების შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველი ორგანოები თავის ქართველ კოლეგებთან ითანამშრომლებენ.

*ინტერპრესნიუსი*

# საარჩევნო "ტრადიციები" ირღვევა

გიორგი ასანიშვილი


ცესკო-მ ტრადიცია დაარღვია და არჩევნები კვირის ნაცვლად შაბათს დანიშნა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, შუალედური და ხელახალი არჩევნები თბილისის ისნის, ბათუმის, ქობულეთის, შუახევის და ტყიბულის საარჩევნო ოლქებში 1 ოქტომბერს ჩატარდება. ცესკო-ს მიერ მიღებულ დადგენილებაში ყველაზე "საინტერესო" ის არის, რომ არჩევნები, ტრადიციულად, კვირა დღეს კი არა, შაბათს გაიმართება.

**"არანაირი აუცილებლობა იმისა, რომ არჩევნები მაინცდამაინც კვირა დღეს ჩატარდეს, არ არსებობს. მით უმეტეს, კვირა დასვენების დღეა ამომრჩევლისთვისაც და საარჩევნო ადმინისტრაციების წევრებისთვისაც,"** - აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე, რომლის აზრითაც, მიზანშეწონილია, რომ მომავალში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები შუა კვირაში გაიმართოს და ეს დღე დასვენების დღედ გამოცხადდეს.

ცესკო-ს გუშინდელ სხდომაზე შუალედური და ხელახალი არჩევნების ხარჯთაღრიცხვაც დამტკიცდა. 1 ოქტომბრის არჩევნებისთვის დაახლოებით მილიონ 200 ათასი ლარია გათვალისწინებული. საოლქო და საუბნო კომისიის წევრებისთვის საგრძნობლად იზრდება ხელფასის თანამდებობრივი სარგო. საოლქო კომისიებისთვის საბაზისოდ დადგინდა 300 ლარი და ზემოთ, ხოლო საუბნო კომისიებისთვის - 200 ლარი და ზემოთ. გიორგი ქავთარაძის განმარტებით, შრომის ანაზღაურების დიფერენციაციას საფუძვლად უდევს ამა თუ იმ საარჩევნო ოლქსა და უბანში ამომრჩეველთა რაოდენობა.

# თბილისი მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენციას მასპინძლობს

პირველი გვერდიდან

ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოში პლასტიკური ბარათის მომხმარებელი ძირითადად ის ადამიანია, რომელიც ან უცხოეთში მიდის ან საერთაშორისო ორგანიზაციაში მუშაობს და ხელფასს უცხოურ ვალუტაში იღებს. ამასთან, საქართველოში სავაჭრო ქსელი არ არის ისე განვითარებული, რომ მოსახლეობამ პლასტიკური ბარათებით ისარგებლოს.

საით მივყავართ ქვეყანაში ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების წილების 90/10-თან თანაფარდობას? როგორც კონფერენციის მონაწილე, VISA International-ის წარმომადგენელი სვეტლანა გეორბელიძე აცხადებს, ეს იწვევს ჩრდილოვანი ეკონომიკის გააქტიურებას, გადასახადებისგან თავის არიდებას, კოლოსალურ ხარჯებს და ა.შ.

საბანკო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ინფორმაციით, პლასტიკური ბარათების სისტემა დსთ-ს სივრცეში ყველაზე კარგად ბალტიისპირეთშია განვითარებული. რაც შეეხება რუსეთს, მოსკოვი ევროპულ დონეს უახლოვდება, თუმცა პერიფერიებში საბანკო სისტემა საკმაოდ სუსტად არის განვითარებული.

თუმცა, როგორც ქართული საბანკო სფეროს წარმომადგენლები გუშინ აცხადებდნენ, უნაღდო ანგარიშსწორების სფეროში წინსვლა მაინც შეინიშნება. ასე, მაგალითად, **"საქართველოში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საბანკო პლასტიკური ბარათების რაოდენობა გაორმაგდა. თუ შარშან პლასტიკური ბარათით 73 ათასმა ადამიანმა ისარგებლა, 2005 წლის ექვს თვეში ეს სერვისი 140 ათასმა გამოიყენა. ეს არის უპრეცედენტო ფაქტი ვიზა-ბარათების რეალიზაციის ისტორიაში"**, - განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ.

კონფერენციის მსვლელობისას "სახალხო ბანკის" ახალი პროექტის შესახებ გახდა ცნობილი. კერძოდ, "სახალხო ბანკი" სოციალური პლასტიკური ბარათების ემისიის ინიციატივით გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პლასტიკური ბარათები მოსახლეობის ნაკლებშემოსავლიანი ფენისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი, რომლითაც მომხმარებელი სხვადასხვა გადასახადის, მათ შორის კომუნალური დავალიანებების დაფარვასაც შეძლებს. "სახალხო ბანკი" სოციალური პლასტიკური ბარათების ემისიის პროექტს VISA International-თან ერთად ახორციელებს.

თუმცა, "სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგუაძის თქმით, სოციალური პლასტიკური ბარათების ემისიის შესახებ არსებული პროექტის განხორციელება საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამდე შეუძლებელია, ამიტომ, ბანკს ამ მიმართულებით, სახელისუფლებო წრეებთან ერთობლივი მუშაობა სჭირდება.

საქართველოს ეროვნულ ბანკი მიესალმება "სახალხო ბანკის" აღნიშნულ ინიციატივას. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, უნაღდო ანგარიშსწორების სერვისის გაფართოება ფულადი ემისიისთვის თანხების დაზოგვის, ასევე ფულის ბრუნვაზე კონტროლის საშუალებას იძლევა. მისივე თქმით, პლასტიკური ბარათების ფართოდ დანერგვისთვის, მსხვილ სავაჭრო ცენტრებსა და ბენზინგასამართ სადგურებში, შესაძლოა, შესაბამისი აპარატურის დამონტაჟება სავალდებულოც, კი გახდეს.

ცნობისათვის, პლასტიკური ბარათების მარეგულირებელი კანონი საქართველოში ჯერ არ არსებობს, თუმცა შესაბამისი კანონპროექტი უკვე მომზადებულია და მალე პარლამენტს განსახილველად წარედგინება.

მეორე საერთაშორისო საბანკო კონფერენცია საქართველოში 29 ივლისამდე გასტანს.

# მთავრობა სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას იწყებს

საქართველოს ხელისუფლება სამცხე-ჯავახეთში სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელებას იწყებს. როგორც გუშინ, გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ბოლო 15 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ხელისუფლებას პრაქტიკულად ინვესტიციები არ განუხორციელებია და ამ რეგიონში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ დაბალ დონეზეა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს მთავრობა მიმდინარე წლისთვის ნინოწმინდის რაიონისთვის 600 ათას დოლარს, ხოლო ახალქალაქის რაიონისთვის 1 მლნ. დოლარს გამოყოფს. ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ფარგლებში, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციისთვის ათეულობით მილიონი დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

*ინტერპრესნიუსი*

# მსოფლიო ბანკი საქართველოს სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში დაეხმარება

მსოფლიო ბანკი საქართველოს სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში დაეხმარება. გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და მსოფლიო ბანკის მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში როი საუსვორთმა ხელი მოაწერეს საკრედიტო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც სარწყავ-სადრენაჟო მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის დაფინანსებას მსოფლიო ბანკი 13 მლნ აშშ დოლარით გაზრდის. კერძოდ, 5,2 მლნ აშშ დოლარი გაიცემა გრანტის სახით, ხოლო 7.2 მლნ დოლარი - კრედიტის სახით.

შემოთავაზებული დამატებითი თანხით დაფინანსდება მდინარეების წყალდიდობებისაგან დამცავი ნაგებობების მშენებლობა, ასევე საირიგაციო-სათავე ნაგებობების მდგრადობის გაუმჯობესება და უზრუნველყოფა, მოიხსნება 30 სოფლისათვის წყალდიდობის საშიშროება.

კრედიტი შემდეგი პირობებით გაიცემა: 40 წლის ვადით, 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით და 0.75 პროცენტიანი მომსახურების გადასახადით.

*ინტერპრესნიუსი*

# გურჯაანის გამგეობა ენერგოდისტრიბუციის წინააღმდეგ

გუშინ ხმაურით დაიწყო გურჯაანის გამგეობის გაფართოებული სხდომა. აურზაურის მიზეზი, რაიონის ენერგოდისტრიბუციის მისამართით გაკეთებული მწვავე განცხადებები გახდა. როგორც გამგეობის საფინანსო განყოფილების წარმომადგენელმა ილო წვერიკმაზაშვილმა განაცხადა, აღნიშნულ ორგანიზაციაში მთელი რიგი დარღვევები აღინიშნება. საუბარია სოციალურად დაუცველ ფენებზე გამოყოფილი ელექტროენერგიის გადასახადზე, რომელიც არამიზნობრივად იხარჯება.

**"რამდენიმე თვეა, რაც 13 ათას 200 ლარი ენერგოდისტრიბუციის ანგარიშზეა გადარიცხული და ეს ფული არ ხმარდება ხალხს, ანუ იმ დაუცველ ფენას, რომელსაც ჩვენ სამი ლარით ვეხმარებით დენის გადასახადში, მათ ინკასატორები ამ სამ ლარს მაინც ახდევინებენ,** - ამბობს ილო წვერიკმაზაშვილი და სხვა დარღვევებზეც მიუთითებს, - **გარდა ამისა, ადგილი აქვს ისეთ ფინანსურ მაქინაციებსაც, როგორიცაა სიებში მკვდარი სულების და ნაცნობ-მეგობრების შეტანა."**

თავად ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელი გურჯაანში მერაბ ბეჟაშვილი ბრალდებებს არ უარყოფს, მაგრამ მომხდარში სოფლის და ქალაქის საკრებულოებს ადანაშაულებს. მისი თქმით, ანგარიშზე გადმორიცხული თანხა იყინება. **"წლების მანძილზე მოდის ეს თნხები. ისისნი უნდა დამისამართდეს 2000 კაცზე. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა მისამართებიც ვერ გავიგეთ, რადგან ახლობლებთან ცხოვრობენ. ეს არის საკრებულოების დანაშაული. ამის შემდეგ ეს თანხა კრედიტში რჩება,"** - ამბობს გურჯაანის ენერგოდისტრიბუციის ხელმძღვანელი.

თავად საკრებულოს თავმჯდომარეები ხელს რაიონის გამგეობის სოცსამსახურისკენ იშვერენ და მათ დაუდევრობაზე საუბრობენ.

გურჯაანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა აკაკი სიხარულიძემ აღნიშნული საქმის შესწავლა და გამოძიება რაიონის პროკურატურას დაავალა. გარდა ამისა, სიხარულიძე ძალოვანებს, საქმის გამოძიების გასამართივებლად, გამგეობის მიერ მოკვლეული მასალების გადაცემასაც დაჰპირდა.

*24 საათი*

# IFC TBC-ში ინვესტირებას ახდენს

პირველი გვერდიდან

ცნობისათვის: TBC ბანკის შვილობილი კომპანია TBC ლიზინგი წლინახევრის წინ დაფუძნდა. ამ დროისათვის კომპანიას ჰყავს 70 კლიენტი და მათთთვის ლიზინგით აღებული წარმოების საშუალებების შესაძენად გაცემული აქვს 4 მილიონ 400 ათასი აშშ დოლარი, რაც 2 მილიონით აღემატება გასული წლის მონაცემებს. TBC ლიზინგის ხელმძღვანელის თეა ლორთქიფანიძის განმარტებით, მის კომპანიას დღეს ბაზრის 60 პროცენტი უკავია. TBC ლიზინგი კლიენტებს სთავაზობს "დაბრუნებით ლიზინგს", რომელიც მათ საშუალებას აძლევს გამოათავისუფლონ ფიქსირებულ აქტივებში ინვესტირებული თანხები და შეავსონ საბრუნავი კაპიტალი. "დაბრუნებითი ლიზინგისას" კომპანია დანადგარებს შეისყიდის კლიენტისთვის, რომელიც ჩვეულებრივ აგრძელებს ამ დანადგარებით სარგებლობას და საკუთრების უფლებას ლიზინგის საზღაურის სრული დაფარვის შემდეგ იღებს.

*24 საათი*

## საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამეურვეო საბჭოს

გთხოვთ, გაითვალისწინოთ საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის არჩევნების მიმართ საზოგადოების სამართლიანი ინტერესი. სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე უნდა იყოს.

მოვითხოვთ, რომ კანდიდატებთან გასაუბრება და კენჭისყრის პროცედურა გადაიცეს ტელევიზიის და რადიოს პირველი არხის პირდაპირ ეთერში.

აუცილებელია, რომ ახალ გასაუბრებაში ძველი "შორტ ლისტის" კანდიდატებმაც მიიღონ მონაწილეობა, თუკი ისინი ხელახლა შეიტანენ განაცხადს.

საზოგადოებას სრული უფლება აქვს იცოდეს, რის საფუძველზე იღებს სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილებას.

**ნიკო ნერგაძე, თენგიზ მირზაშვილი, ირაკლი კორძაია, ხათუნა ხატიაშვილი, ლონდა ჯიქია, თამუნა ქაროსანიძე, ანი ახალკაცი, რუსიკო ვაშაკიძე, პაატა გურგენიძე, თეა ბოლქვაძე, გიორგი თარგამაძე, გურამ გოგიაშვილი, მაია ყალაბეგაშვილი, დავით მჭედლიძე, თამარ ღვინიანიძე, მიხეილ მირზიაშვილი, ნინო ჩინჩალაძე, მალხაზ რამიშვილი, დავით კიკალიშვილი, ნატო გუბელაძე, პაატა ცნობილაძე, ნინია კაკაბაძე, ზაზა გაჩეჩილაძე, რევაზ საყვარიშვილი, თამარ პატარაია, ანა დოლიძე, ლადო გოგიაშვილი, ირაკლი იმნაიშვილი, ინგა მუშეგიანცი, პაატა ვეშაპიძე, ნინო დანელია, ნათია ზამბახიძე, დოდო შონავა**

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ ტელეფონებზე
დარეკეთ ფიქსირებული ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-10-0+ მობილური ოპერატორის კოდი (99,77,93)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-10-0+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-10
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მიმდინარე წლის 1 თებერვალს გორში განხორციელებულ ტერაქტთან დაკავშირებული ეჭვმიტანილების დაკავებაში საქართველო რუსეთის ფედერაციის შესაბამისი ორგანოების დახმარებას ელის.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, ქართული მხარე იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის კომპეტენტური ორგანოები ქართველ კოლეგებს აუცილებელ დახმარებას გაუწევენ იმ პირთა დაკავებაში, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ როგორც გორის, ასევე 2004 წლის შემოდგომაზე საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი სხვა ტერაქტების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე აუცილებლად თვლის განაცხადოს, რომ საქართველო არ არის დაინტერესებული კონფრონტაციაში და სიტუაციის დაძაბვაში, როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე მთლიანად ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. საქართველო მზად არის თანამშრომლობისთვის და რუსული მხარისგან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმას ელის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზური მხარის მიუწვევლობას აპროტესტებს.

მისი განცხადებით, გაეროს უშიშროების საბჭო მხოლოდ ქართული მხარის პოზიციის მოსმენით "პრობლემას ცალმხრივად, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის მოსმენით განიხილავს".

სოხუმის საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, ისეთი სერიოზული, ავტორიტეტული და წარმომადგენლობითი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, როგორც გაეროა, აფხაზური მხარის იგნორირება, აფხაზეთის საზოგადოებაში გაეროსადმი უნდობლობას იწვევს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში სექტემბრის ბოლოს ვაკანსიების შესავსებად კონკურსი გამოცხადდება.

როგორც საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ოფიციალურად კონკურსი 5-6 სექტემბერს გამოცხადდება და თვის ბოლოს ჩატარდება.

ბურჯანაძის თქმით, პარლამენტში მუშაობის დაწყების შანსი ყველა პროფესიონალს მიეცემა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეფექტური მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების სახელმწიფო კომისია ორმა წევრმა დატოვა.

თენგიზ შერგელაშვილმა და დავით ლოსაბერიძემ, რომლებიც არასამთავრობო სექტორს წარმოადგენენ, აღნიშნული კომისიიდან გამოსვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთეს.

როგორც ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ თენგიზ შერგელაშვილმა დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა ეს კომისია უმოქმედოა, ვინაიდან ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შედგა შეხვედრა და საკითხის განხილვა.

"არსებობენ ფსევდოექსპერტები, რომლებმაც შეიმუშავეს ვითომდა კონცეფცია, რომელიც თავისი შინაარსით თვითმმართველობის დაკნინებას გამოიწვევს. ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას, არ იქნას მიღებული გარკვეული ჯგუფების მიერ შემუშავებული კონცეფცია", - განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ ტერიტორიული მოწყობის შესახებ ალტერნატიული კონცეფცია შეიმუშავა, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეს კონცეფცია დაბლოკა და მის განხილვაზეც კი უარი განაცხადა.

"აღნიშნული კომისიის უმოქმედობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან კომისიის სახელით მანიპულირებისა და ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი რეფორმის მომზადებისას ალტერნატიული აზრის უგულებელყოფის პირობებში, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული კომისიის შემადგენლობაში დარჩენა და ამიტომ ვტოვებთ მას", - განაცხადეს თენგიზ შერგელაშვილმა და დავით ლოსაბერიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას შეფასებით, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება თანდათან აპარტეიდის რეჟიმს ემსგავსება.

სახელმწიფო მინისტრს დაუშვებლად და უკანონოდ მიაჩნია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ აფხაზეთში არსებული მსხვილი ობიექტების პრივატიზაცია.

ხაინდრავას განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობის კუთვნილი საცხოვრებელი სახლების შესაძლო გაყიდვა აშფოთებს. ის დარწმუნებულია, რომ ამ ფაქტს აუცილებლად მოჰყვება საერთაშორისო საზოგადოების მწვავე რეაქცია.

24 ივლისს გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შესაბამისი სტრუქტურები აფხაზეთში არსებული საბინაო ფონდის აღწერას იწყებს. ის სახლები, რომლებშიც ბოლო 10 წელია არავინ ცხოვრობს, აუქციონის წესით გაიყიდება. **ინტერპრესნიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დაეცა

პირველი გვერდიდან

**"არაგამჭვირვალე რეგულირება, მუდმივად ცვალებადი წნეხი, გაჭიანურებული ადმინისტრაციული პროცედურები, ქრთამის ხშირი და არაპროგნოზირებადი მოთხოვნები ხელს უშლის საინვესტიციო კლიმატის და მეწარმეობის განვითარებას",** - ნათქვამია მოხსენებაში.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალი: მოხსენებაში საკუთრების უფლებების დაცვის დონე შეფასებულია როგორც ძალიან დაბალი. ამის საილუსტრაციოდ Heritage Foundation-ს გაზეთ "ვაშინგტონ თაიმსის" ერთ-ერთი სტატია მოჰყავს. **"მთავრობის დიდი მცდელობის მიუხედავად, გამოესწორებინა სასამართლოს ეფექტურობა, მართლმსაჯულების კორუმპირებულობა კვლავაც პრობლემად რჩება. გაზეთი წერს, რომ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ინვესტორები განიცდიან მოსამართლეთა მიმართ ნდობის დეფიციტს, მათი არაკომპეტენტურობის, მიკერძოებულობის და არადამოუკიდებლობის გამო, რასაც ემატება, აგრეთვე, მათი კორუმპირებულობის მაღალი დონე,"** - აღნიშნულია მოხსენებაში.

ხსენებულ მოხსენებაში რეგულირების დონე შეფასებულია, როგორც ძალიან მაღალი. ამერიკის ვაჭრობის დეპარტამენტის მონაცემებით, გაჭიანურებული და ბიუროკრატიული პროცედურები საქართველოს უმთავრესი პრობლემაა. **"ბიზნესმენებს საქართველოში ბიზნესის წარმოების ყოველ დღეს ხვდებათ ურიცხვი, ერთ შეხედვით, წვრილმანი დაბრკოლება, რაც მათ საბოლოო ჯამში საქართველოში საქმის პატიოსნად კეთების იმედს უცრუებთ. ძალიან ბევრი მონაცემი მიუთითებს იმას, რომ ბიზნესის მთავარ დაბრკოლებას საქართველოში კორუფცია წარმოადგენს",**- ნათქვამია მოხსენებაში.

Heritage Foundation-ის ამ მოხსენებას გუშინვე პარლმენტარი ლადო პაპავა გამოეხმაურა, რომლის აზრითაც ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაკეთებული მოხსენების თითოეული პარამეტრი ყურადსაღები უნდა იყოს საქართველოს მთავრობისათვის. **"ჩვენ წინა სარევოლუციოდ რთული სასტარტო პირობები გვქონდა. ახლა ვდგავართ სერიოზული ამოცანის წინაშე და ბუნებრივია, ერთ წელიწადში ყველა პრობლემა ვერ დარეგულირდებოდა, ეს სახეზეა, თუმცა ამ ინდექსის გაფეტიშებაც არ არის საჭირო",** - განაცხადა პაპავამ.

# დეპუტატები ეთიკას ბრიტანელი პარლამენტარებისგან ისწავლიან

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარემ და ბრიტანეთის თემთა პალატის წევრმა ცხინვალისა და აფხაზეთის კონფლიქტების შესახებაც ისაუბრეს. ბრიუს ჯორჯმა შეაქო ქართველი სამართალდამცველების მუშაობა: **"ასეთ მცირე დროში მსგავსი ტიპის ტერაქტის გახსნა არ არის მარტივი. ქართველმა სამართალდამცველებმა შრომატევადი სამუშაო ჩაატარეს."** გადაწყდა, რომ საქართველოს პარლამენტი დიდი ბრიტანეთის პარლამენტის გამოცდილებას გაიზიარებს და დეპუტატთა ქცევის და ეთიკის იქაური ნორმები საქართველოს პარლამენტშიც დაინერგება. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ ბრიუს ჯორჯს შესთავაზა, რომ დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ჯგუფმა, საქართველოს პარლამენტს ის რეკომენდაციები და წინადადებები გამოუგზავნოს, რომლის მიხედვითაც თავად დიდმა ბრიტანეთმა შეიმუშავა პარლამენტის წევრთა ქცევისა და ეთიკის ძირითადი პრინციპები.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს პარლამენტისათვის უმნიშვნელოვანესია პასუხისმგებლობების, ვალდებულებებისა და უფლებების გაცნობა და გაზიარება, რომელიც დიდი ბრიტანეთის პარლამენტშია დამკვიდრებული.

*24 საათი*







# FBI-ს წარმომადგენლებმა არუთინიანის სარდაფის დათვალიერება დაასრულეს

პირველი გვერდიდან

**"ერთობლივი მუშაობა გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტურისა და ქართველი პოლიციელების თანამშრომლობის ბრწყინვალე გამოხატულებაა,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

არუთინიანის სარდაფში ექსპერტებმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები აღმოაჩინეს. ამოღებულია 20-ლიტრიანი მინის ავზი, სადაც გოგირდმჟავა იყო მოთავსებული, ნაპოვნია რამდენიმე ყუთი თერმომეტრი, სავარაუდოდ, ვერცხლის წყლის მისაღებად, ქიმიური რეაქციებისთვის საჭირო მოწყობილობა და სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიული ნივთები. სარდაფში ნაპოვნია ავტომანქანის სანომრე ნიშნები, რომელიც, სავარაუდოდ, მოპარულ ავტომანქანას ეკუთვნოდა. არუთინიანის სარდაფში აღმოჩენილი ნივთების შესახებ დეტალურ ინფორმაციას არც ამერიკული და არც ქართული მხარე, ჯერჯერობით, არ ახმაურებს. გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის განცხადებით, გამომძიებლები ამ ეტაპზე მომწამლავი ნივთიერების ზუსტი სახელწოდების დასახელებისგან თავს შეიკავებენ, თუმცა, როგორც გენერალური პროკურორი აცხადებს, აღმოჩენილი ნივთიერებების გამოყენებით არუთინიანს არა ერთი დანაშაულის განხორციელება შეეძლო. **"გამოძიება გრძელდება და უახლოეს მომავალში საზოგადოება ყველაფრის შესახებ შეიტყობს,"** - განაცხადა ზურაბ ადეიშვილმა.

**"ამერიკელებმა თანამედროვე ხელსაწყოები ჩამოიტანეს, რომლის საშუალებითაც არა მხოლოდ აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერება, არამედ უზრუნველყვეს მათი უსაფრთხო ამოღება. რომ არა ქართულ-ამერიკული საგამოძიებო ჯგუფის მჭიდრო თანამშრომლობა, საქმე ასეთი სწრაფი ტემპით წინ ვერ წავიდოდა,"** - განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა.

*24 საათი*

# შესაწყალებელ პატიმართა მორიგი სია მზად არის

პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია პრეზიდენტს 54 პატიმრის შეწყალების რეკომენდაციით მიმართავს. პატიმართა შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია დღეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შესაწყალებელ პატიმართა სიას გადასცემს.

როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებს, 54 პატიმარს შორის, რომლებსაც კომისია პრეზიდანტთან შეწყალებაზე უწევს რეკომენდაციას, ორი ქალია.

"შესაწყალებელთა სიაში, ძირითადად, ის პატიმრები მოხვდნენ, რომლებიც პირველად იხდიან სასჯელს და არ აქვთ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაული - მკვლელობა, ადამიანის გატაცება, გაუპატიურება, ნარკოტიკების რეალიზაცია ან ბანდიტიზმი", - განმარტავენ პატიმართა შეწყალების სახელმწიფო კომისიაში.

შეწყალების მუდმივმოქმედი კომისია მსგავსი კატეგორიის პატიმართა შეწყალების საკითხს ყოველთვიურად იხილავს.

*პრაიმ-ნიუსი*

# უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციისა და ტრანსპორტირებისთვის სანქციები გამკაცრდება

ფინანსური პოლიცია მოსახლეობას აფრთხილებს, რომ 30 ივლისიდან ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგანგებო ცვლილებები სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. შესაბამისად, ამ დროიდან უაქციზო სიგარეტის შენახვა-რეალიზაციისა და ტრანსპორტირების ფაქტზე სასჯელი და სანქციები გამკაცრდება.

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მეორე ოპერატიულმა სამმართველომ გუშინ განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი დააკავა.

პოლიციის ინფორმაციით, რუსული წარმოების 15 ათასი კოლოფი "ვინსტონი", "ტროიკა", "იავა", "ალიანსი", "ნოვოსტი", "ვესტი" და სხვა დასახელების სიგარეტი ნანული პეტრიაშვილმა ცხინვალიდან კონტრაბანდული გზით ჩამოიტანა და თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში მდებარე ერთ-ერთ კერძო სახლში შესანახად მიაბარა.

ნანული პეტრიაშვილი უკვე ეჭვმიტანილად არის ცნობილი და მას 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

"რუსული წარმოების უაქციზო სიგარეტის საქართველოში სარეალიზაციოდ შემოტანა საქართველოს ეკონომიკისთვის დივერსიის ტოლფასია",- აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

*ინტერპრესნიუსი*

# ლევან კენჭაძის საქმის განხილვა სექტემბრისთვის გადაიდო

უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის საქმის განხილვა უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ სექტემბრისთვის გადადო.

დღევანდელ პროცესზე ლევან კენჭაძის ერთ-ერთმა ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა დამატებითი საკასაციო საჩივარი წარმოადგინა, რომლიც გასაცნობად სასამართლო კოლეგიასა და ბრალდების მხარეს გადასცა.

სასამართლო პროცესს თავად განსასჯელი არ დასწრებია. როგორც ადვოკატმა განმარტა, საკასაციო საქმეზე განსასჯელის დასწრება ნებაყოფლობითია და კენჭაძე სხდომაზე პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდა.

შეგახსენებთ, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაერთგზის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტების საფუძველზე კენჭაძეს მართლმსაჯულაბამ რვაწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ამ განაჩენით სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა.

ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის უფლებების დამცველები სწორედ ამ განაჩენის გაუქმებას, კენჭაძის გამართლებას და მის გათავისუფლებას მოითხოვენ.

ადვოკატთა განცხადებით, სასამართლომ განაჩენში შემამსუბუქებელ გარემოებად არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კენჭაძეს სადავო თანხა, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი - 18 ათასი ლარი უკვე ანაზღაურებული ჰქონდა და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი სასამართლო განსახილველ საბუთებშიც მოიპოვებოდა.

*ინტერპრესნიუსი*

# ძებნილი დიდი ლიახვის ხეობაში დააკავეს

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ სპეცოპერაცია ჩატარდა. სამართალდამცველებმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში ძებნილი გოგა კასრაძე დიდი ლიახვის ხეობაში აიყვანეს.

დანაშაულში ეჭვმიტანილმა პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია. ორმხრივი სროლის დროს კასრაძემ სხეულის დაზიანება მიიღო. ქურთას საავადმყოფოს ბრიგადამ, სამშვიდობოების დახმარებით, იგი ცხინვალის გავლით გადაიყვანა გორში, სადაც მას ოპერაცია ჩაუტარდა.

კასრაძეს 22 ივნისს, გორის ცენტრში მომხდარ ინციდენტშია ეჭვმიტანილი, რომლის დროსაც, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი ადამიანი, მათ შორის ერთ-ერთი პოლიციელი დაიჭრა.

*ინტერპრესნიუსი*

# რიჩარდ მაილსი: საქართველოში რწმენის ნიშნები გაჩნდა

პირველი გვერდიდან

**- თავიდანვე მინდა გკითხოთ, ისეთივე დიპლომატიური იქნება თქვენი პასუხები, როგორც 2002 წელს, როდესაც ელჩის ამპლუაში ერთ-ერთ პირველ ინტერვიუს აძლევდით ჩვენს გაზეთს?**

- ალბათ, ისევ ისეთი ვიქნები.

**- ივნისში ქორწინების 45 წელი იზეიმეთ. თქვენი ერთობლივი ცხოვრების რა ეტაპია ახლა?**

- ბოლო ეტაპია.

**შერონ მაილსი:** მე და დიკს ყოველთვის პარტნიორული, მეგობრული ურთიერთობები გვქონდა. ჩვენ ყოველთვის ვთანამშრომლობდით და ეს საკმაოდ მტკიცე მეგობრობა იყო.

**- გყავდათ სერბი კატა მაქსი და ბულგარელი ძაღლი სახელად რაშკო. საქართველოში ოთხფეხა მეგობარი არ შეიძინეთ?**

- იყო ასეთი ცდუნება, მაგრამ გავუძელით, რადგან ერთ სახლში ორი ცხოველი საკმარისია.

**- როგორი იყო საქართველოში თქვენი ცხოვრების ეს სამი წელი? რისი თქმა შეგიძლიათ ქართველი ქალების პრობლემებზე?**

- ამ სამი წლის განმავლობაში დიდი დრო გავატარე ქართველ ქალებთან. ჩემი პერსონალური დაინტერესება მცირე ბიზნესის განვითარებაში ქალების დახმარებაა, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სფეროში. ხშირად მიწევდა საქართველოს რეგიონებში სიარული და ქალბატონებთან ურთიერთობა.

თქვენი შეკითხვის პირველი ნაწილის პასუხად მინდა გითხრათ, რომ ეს სამი წელი ძალიან მდიდარი იყო. უდიდესი პასუხისმგებლობაა, იყო ამერიკის ელჩის მეუღლე. ადამიანები ყოველთვის კარგს ელიან ამერიკის ელჩისგან და მისი მეუღლისგან. ამ სამი წლის განმავლობაში საქართველომ და ჩვენც ძალზე რთული პერიოდი გავიარეთ. თავიდან შეიძლება ამას უიმედობის და სიბნელის ხანა დავარქვათ. ახლა დგას ეტაპი, როდესაც ადამიანებს რწმენა გაუჩნდათ. მე თავადაც იმედით ვარ განწყობილი.

**- რომელი კერძის რეცეპტი მიგაქვთ სამშობლოში?**

**რიჩარდ მაილსი:** ოთახიც და კომპიუტერიც სავსეა რეცეპტების ფაილებით. ალბათ, ათასობით რეცეპტი მიაქვს.

**- რას გრძნობს უდიდესი ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მძიმე ისტორიული პერიოდში მყოფ პატარა ქვეყანაში ელჩად მიავლინებენ?**

- ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, როდესაც 2002 წელს საქართველოში ჩამოვედით. ვიცოდით, რომ აქ იყო უმუშევრობა, კორუფცია, მძიმე კრიმინალური მდგომარეობა, მაგრამ არ ველოდით, რომ ეს დონე ასე მაღალი იქნებოდა. მიუხედავად ჩემი მცდელობებისა (მხოლოდ საკუთარ თავს არ ვგულისხმობ, ეს აშშ-ს საელჩოში მომუშავე ადამიანებსაც ეხება), პროგრესს ნაკლებად მივაღწიეთ. მცდელობა მცირე არ იყო, მაგრამ მაშინდელი მთავრობის მექანიზმი არ იყო მიმართული წინსვლისკენ.

ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა, რაც მაშინ შეიმჩნეოდა, ეს უსაფრთხოების სფეროში პანკისის ხეობაში მიღწეული შედეგები გახლდათ. მაშინ ჩეჩენ მებრძოლებს უკანდახევა აიძულეს. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, საქართველო მაინც დემოკრატიული ქვეყანა იყო. იყო სიტყვის თავისუფლება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო იდეალური დემოკრატიული წყობის ქვეყანა, ასეთი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს, მაგრამ ეს იყო სახელმწიფო, რომელთანაც თანამშრომლობა შეიძლებოდა.

საელჩოს თანამშრომლებს კარგი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ არა მხოლოდ მთავრობასთან, არამედ მაშინდელ ოპოზიციასთანაც და მთავრობა არ იყო ამის წინააღმდეგი. მათ არ ჰქონიათ ჩვენი და ოპოზიციის ურთიერთობებისთვის ხელის შეშლის მცდელობა. საერთაშორისო თანამეგობრობა და მათ შორის შეერთებული შტატები აქტიურად თანამშრომლობდა როგორც მთავრობასთან, ასევე ოპოზიციასთან. ჩვენი მთავარი მიზანი 2003 წლის არჩევნების სამართლიანი ჩატარება გახლდათ. იმისთვის, რომ მთავრობა სამართლიანი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაში დაგვერწმუნებინა და წაგვეხალისებინა, დაიხარჯა თანხები, ენერგია და დრო. მე მგონი, ქართულმა საზოგადოებამ ეს აშკარად დაინახა. საზოგადოებას არჩევნების სამართლიანად ჩატარების დიდი მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ არჩევნების შედეგად მასიური გაყალბება მიიღო. მაშინ საქართველოში 600 დამკვირვებელი იმყოფებოდა ეუთო-დან. ამ დარღვევების ნახვა ინტერნეტით დღესაც შეიძლება. საერთაშორისო წარმომადგენლობებიც ადასტურებენ ამ გაყალბებებს... თუმცა, ახლა გიყვებით საქართველოს ისტორიას, რომელსაც თქვენც კარგად იცნობთ და რომლის შედეგად "ვარდების რევოლუცია" მივიღეთ. ხელისუფლებაში რეფორმისტულად განწყობილი ადამიანები მოვიდნენ და ცდილობენ, რომ ქვეყანაში წინსვლა და პროგრესი დამყარდეს. ჩვენ კარგი ურთიერთობები დავამყარეთ ახალ ხელისუფლებასთან, ვცდილობდით მხარი დაგვეჭირა რეფორმებისთვის და ამას განვაგრძობთ. ისე, ის საკმაოდ ამაღელვებელი დრო იყო.

**- საქართველოში ფიქრობენ, რომ მაშინდელი ოპოზიცია და აწ ხელისუფლება ხალხს დაშორდა. თქვენთვის კარგად ნაცნობ ამ ადამიანებს ცვლილებებს ატყობთ?**

- საქართველოს მთავრობისა და ხალხის დამოკიდებულება შინაური საქმეა. ამგვარ კომენტარებს ხშირად ვკითხულობ პრესაში და ალბათ, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ეცნობიან ამ ინფორმაციას. ეს ის საკითხია, რაზეც მოსახლეობამ უნდა იმუშაოს. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის შეშფოთების საგანი ის შეიძლება გახდეს, თუ მთავრობის მხრიდან ისეთი ფუნდამენტური საკითხები დაირღვევა, როგორიც არის სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, რწმენის თავისუფლება - საკითხები, რომელიც თითოეულ მოქალაქეს საერთაშორისო შეთანხმებებით აქვს გარანტირებული. ნებისმიერი დიპლომატი დააკვირდება ამ მოვლენებს და თავის ხელმძღვანელობას იმ საკითხებზე მიაწვდის ინფორმაციას, რომელიც მისი ინტერესების სფეროში შედის - ეს დიპლომატის უპირველესი პასუხისმგებლობაა. დიპლომატის მეორე პასუხისმგებლობა ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობისადმი თავისი მთავრობის წუხილის გამოხატვაა. გარდა ამისა, დიპლომატს სიფრთხილე ჰმართებს, ის არ უნდა მიდიოდეს მთავრობის წევრთან და არ უნდა აკეთებდეს განცხადებას თითოეულ დეტალზე, რომლის შესახებაც შეიძლება მას სმენია კიდეც. თუმცა, ამავე დროს, თუ დიპლომატი ამჩნევს, რომ ჩამოყალიბდა ქცევის ერთგვარად უარყოფითი მოდელი, ის ამაზე რეაგირებს.

სიმართლე გითხრათ, ზოგიერთ ინციდენტზე მთავრობის ზოგიერთ წევრთან საუბარი მქონია, მაგრამ ეს არ გახმაურებულა. მე შედეგი უფრო მაინტერესებს და არა საზოგადოების ყურადღების მიქცევა.

**- ხშირად ყოფილხართ ელჩი იმ ქვეყნებში, სადაც სახელისუფლებო ცვლილებები მომხდარა. რაიმე ოქროს წესი ხომ არ შეგიმუშავებიათ - როდის ხდება საჭირო ქვეყანაში რადიკალური ცვლილებები?**

- ყოველი შემთხვევა განსხვავებულია და ერთი ზოგადი წესი სამართლიანი არ იქნებოდა. ერთ-ერთი, რასაც ოპოზიციასაც ყოველთვის მოვუწოდებ და მთავრობასაც - ძალის გამოყენების თავიდან აცილებაა. ამას ვაკეთებდი აზერბაიჯანში, რუსეთში, სერბეთში და საქართველოშიც. შესამჩნევი იყო, რომ ვცდილობდი, სიტუაცია მშვიდად განვითარებულიყო და ტრანსფორმაცია ყოველგვარი ძალადობის გარეშე მომხდარიყო.

**- საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდით 60-იანი წლების ამერიკაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცეში. რა თვისებები გამოგყვათ იქიდან თქვენ და თქვენს მეუღლეს?**

**შერონ მაილსი:** მეც იმ აზრის ვარ, რაც ჩემმა მეუღლემ თქვა - მტკიცე რწმენა იმისა, რომ ცვლილებები ძალადობის გარეშე უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში, ყველაფერი სამოქალაქო მოძრაობასა და ადამიანების ქცევაზეა დამოკიდებული. შემდეგ უნდა იყოს რწმენა, რომ მოქალაქეებს თავის ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებების განხორციელება შეუძლიათ.

საკითხი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამომყვა და რომელსაც ყველა ქვეყანაში ქალთა ორგანიზაციებთან ურთიერთობისას ვუსვამდი ხაზს, ეს გახლავთ ის, რომ ადამიანმა საკუთარ ცხოვრებაზე თავად უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა.

**- თქვენს მეუღლეს რა თვისებები გამოჰყვა?**

- იგი მომთმენი ადამიანია, ზოგჯერ ზედმეტადაც მომთმენი.

**- სამი მძიმე წელი საქართველოში - ეს ნამდვილად ამ თვისების დასტურია... აქ ჩამოსული ბევრი უცხოელი თვლის, რომ ეს დიდი შესაძლებლობების ქვეყანაა. სამი წლის განმავლობაში მთელი საქართველო მოიარეთ, თქვენი აზრით, ქართველებიც ფიქრობენ, რომ ეს შესაძლებლობების ქვეყანაა?**

**შერონ მაილსი:** მე და დიკმა მთელი საქართველო შემოვიარეთ. ხან ერთად ვმოგზაურობდით და ხან ცალ-ცალკე. ვეთანხმები შეფასებას, რომ ამ ქვეყანაში დიდი პოტენციალია. მაგრამ, ქვეყანას უდიდესი პრობლემებიც აქვს და ამ პოტენციალის ამოქმედებამდე ეს პრობლემებია დასაძლევი.



რიჩარდ მაილსი: გასაოცარია, როგორ მოხერხდა, რომ ასეთ პატარა ქვეყანაში ასეთი მრვალფეროვნებაა წარმოდგენილი. სწორედ ეს იქნება ერთ-ერთი ფაქტორი იმისთვის, რომ თქვენი ქვეყანა უცხოელთათვის მიმზიდველი გახდეს. ადამიანს შეუძლია დილით წავიდეს მთაში, შუადღე ბარში გაატაროს და დღის მეორე ნახევარში ზღვის სანაპიროც მოინახულოს. ერთ-ერთი საერთო და გამორჩეული ნიშანი კი - მასპინძლობის ტრადიციაა.

შერონ მაილსი: ქართველი ქალები უაღრესად ძლიერნი და განათლებულები არიან. მათში იმ ენერგიასა და სულიერ სიმტკიცეს ვხედავ, რომელიც ამერიკელ ქალებში წლების წინ იყო. მაშინ, როცა ქვეყანა ფეხზე დგებოდა, როცა საზოგადოება ყალიბდებოდა და როცა სწორედ ამ ენერგიით მოხერხდა სირთულეების დაძლევა. მათ სურთ, რომ ამ ქვეყანაში უსმენდნენ, ჰქონდეთ საკუთარი ხმა, რათა შვილებისთვის უკეთესი მომავალი უზრუნველყონ. მათი სიძლიერით აღფრთოვანებული ვარ.

**- ბატონო ელჩო, რა ზღვარს არ უნდა გადაცდეს ხელისუფლება, რომ არ დაკარგოს ამ პოტენციალის ამოქმედების შანსი? წინა ხელისუფლებამ ეს ზღვარი გადალახა...**

**რიჩარდ მაილსი:** წინა მთავრობა ზღვრამდეც არ მიდიოდა, ისინი არაფერს აკეთებდნენ. ნებისმიერი მთავრობა ანგარიშს უნდა უწევდეს სამოქალაქო თავისუფლებას და ადამიანის უფლებებს. ნებისმიერ მთავრობას და მათ შორის, შეერთებული შტატების მთავრობას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ რა არის უზენაესი. პირადად მე მიმაჩნია, რომ დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო სისტემა დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. ქართველი ლიდერებისგან - პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნინო ბურჯანაძისგან მომისმენია, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა, ჯერჯერობით, სრულად არ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. პრეზიდენტმა კორუმპირებული მოსამართლეების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯები გადადგა. საერთაშორისო თანამეგობრობა მხარს უჭერს სასამართლოს რეფორმას. გასაკეთებელი ბევრად მეტია და ამ საკითხისადმი შეურიგებელი ვარ, რადგან ამაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

**- რას იტყვით, როგორ ვითარდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ამ სამი წლის განმავლობაში?**

- საქართველოში ამერიკის ელჩისგან არ იქნებოდა კორექტული მესამე ქვეყანასთან ურთიერთობებზე საუბარი. მით უფრო, იმ ქვეყნის შესახებ, რომელსაც ასე კარგად ვიცნობ. მიმაჩნია, რომ საქართველოც, რუსეთიც და მსოფლიოც მოგებული დარჩებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის მყარი, კეთილმეზობლური დამოკიდებულებით.

**- შემიძლია, როგორც საქართველოში აშშ-ს ელჩს, ჩვენი ქვეყნის კუთხეების ცალ-ცალკე დახასიათება გთხოვოთ?**

